ხელშეკრულება №36
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ თბილისი

29 ივნისი 2016 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობების დაცვის ცენტრი (შემდგომში-დამკვეთი), დირექტორი ვახტანგ იაშვილი და მეორე მხრივ შ.პ.ს. „Digital Kitchen Studio" (შემდგომში-შემსრულებელი) დირექტორი გიორგი თავართქილაძე ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონდებლობით შესყიდვების შესახებ მე-3 მუხლი 1 პუნქტი ს[1] ქვეპუნქტით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანია: საიმიჯო-სარეკლამო ვიდეორგოლის გადაღება ხელშეკრულების პირობების და დანართის N1 შესაბამისად, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.შესყიდვის ობიექტი
შესყიდვის ობიექტია: საიმიჯო-სარეკლამო ვიდეორგოლის გადაღება.

3.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება
3. შესყიდვის ობიექტების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 4800.00 (ოთხი ათას რვაასი) ლარი

4. სამუშაოს შესრულების ხარისხი და გარანტია
4.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს წაყენებულ პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მოთხოვნებს.

5. სამუშაოს შესრულების ვადები და ადგილი
5.1 სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 1 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით.

5.2 სამუშაოს შესრულების ადგილია ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების ტერიტორია.

6. სამუშაოს შესრულების მიღება-ჩაბარების წესი
6.1 სამუშაო ჩაითვლება შესრულებულად შესრულების აქტის და სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორებით
7.2 ანგარიშსწორება შემსრულებელთან განხორციელდება შესრულების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 დამკვეთი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
8.2 დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს შემსრულებლის საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.
8.3 შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში
8.4 შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაო იმ ვადაში რაც მითითებულია ხელშეკრულების 5.1 პუნქტში.

9. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს ცენტრის შესყიდვების სპეციალისტი ზაზა ერაძე.
9.2 ინსპექტირება გულისხმობს შემსრულებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.
9.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მომწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
10.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობით ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე
11.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4 ერთი- ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შეუსრულებლობისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 29 ივნისიდან 29 აგვისტომდე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და
კულტურული მემკვიდრეობების დაცვის ცენტრი
ქ. ამბროლაური ვაჟა ფშაველას ქ№17
ს/კ 422935097
„სახელმწიფო ხაზინა"
სახაზინო კოდი: 050103
ტურიზმის განვითარების პროგრამა

ტ. 439221618

დირექტორი: /[illegible]ოაშვილი/

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. "Digital Kitchen Studio"
ქ. თბილისი, ახმეტელის ქ. N 10ა
ს/კ 404424814
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE25TB7974536080100001

ტ. 599 35 36 95

დირექტორი : /გ. თავართქილაძე/

ხელშეკრულება N 36

დანართი 1

N	CPV	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთ. ფასი (ლარი)	სულ თანხა (ლარი)
	9211200	საიმიჯო-სარეკლამო ვიდეორგოლი, ხანგრძლივობა 30 წამი, ფორმატი HD 1920X1080, მუსიკა, საავტოორო უფლებები, 48 KHZ, 24 BIT				4800.00
					ჯამი	4800.00

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ტურიზმის განვითარებისა და

კულტურული მემკვიდრეობების დაცვის ცენტრი

ქ. ამბროლაური ვაჟა ფშაველას ქ№17

ს/კ 422935097

„სახელმწიფო ხაზინა"

სახაზინო კოდი: 050103

ტურიზმის განვითარების პროგრამა

ტ. 439221618

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. "Digital Kitchen Studio"

ქ. თბილისი, ახმეტელის ქ. N 10ა

ს/კ 404424814

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა GE25TB7974536080100001

ტ. 599 35 36 95

დირექტორი: /ბ. იაშვილი/

დირექტორი : /გ. თავართქილაძე/